ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №17/01/21

ერთის მხრივ **ბოლნისის მუნიციპალიტეტი** (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი მერის მ.შ.-ს ჯუმბერ გობეჯიშვილის სახით და მეორეს მხრივ **ი/მ გიორგი კაციტაძე** (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი გიორგი კაციტაძის სახით, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას გამარტივებული შესყიდვის (გადაუდებელი აუცილებლობა, **SMP210000037**) საშუალებით _შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ " (შემდგომში - "ხელშეკრულება") -შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი-შემსყიდველს.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე" , "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. "მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. **<u>ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ნახიდურში არსებული 3 კვტ სიმძლავრის სასმელი წყლის საქაჩი ტუმბოს (ჩასაძირი ტუმბო WQ 15-30 3კვტ) შესყიდვა (შეძენა-მონტაჟი)</u>** <u>(კლასიფიკატორის კოდი: 42122130).</u>

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **3000 (სამიათასი)** ლარს.

3.2. საქონლის მიწოდება/მონტაჟი -- მიმწოდებლის ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით.

3.3. ფასების ცხრილი -- ინვოისი - დანართი N1.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოსცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებთან.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.

4,4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

5. საქონლის მიწოდება/მონტაჟის ვადები

5,1 საქონლის მიწოდება/მონტაჟი (ინვოისის შესაბამისად) იწარმოებს, **ხელშეკრულების გაფორმებიდან 2020 წლის 21 იანვრის ჩათვლით.**

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცეს/დაუმონტაჟოს შემსყიდველს (მის მიერ უფლებამოსილ პირს) ხელშეკრულების 3,3 პუნქტით განსაზღვრული შესაბამისი რაოდენობის საქონელი.

6.2 შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს -- ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის სტატისტიკისა და ანალიზის განყოფილების უფროსი -- მირზა ხვიბლიანი

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

7.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

7.3 ანგარიშსწორების ვადა – საქონლის მიღებიდან (მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან) 10 სამუშაო დღე.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 396-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ს.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

10.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებლს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი.

ბ) თუ მიმწოდებლს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

10.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას,თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა დადაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით,ეპიდემიით,კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით,საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ,რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება,დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს,იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან და ძალაშია 2021 წლის 30 დეკემბრამდე.

14. სხვა პირობები

14.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით;

14.2 მიმწოდებელს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მხარეთა მხრიდან მისი ხელმოწერის შემდეგ.

14.4 დამონტაჟებული საქონლის საგარანტიო ვადაა მისი ჩაბარებიდან (მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან) ექვსი თვე, რომლის განმავლობაშიც შემსრულებელი ვალდებული იქნება აღმოფხვრას საქონელზე წარმოქმნილი ყველა დეფექტი ან ნაკლი, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან მაქსიმუმ 20 (ოცი) კალენდარულ დღეში.
14,5 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, დამოწმებული მხარეებს შორის ელექტრონულად.

15. რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

ბოლნისის მუნიციპალიტეტი
მის: ქ. ბოლნისი, ს.ს. ორბელიანის 106
ს/კ 225393963

„მიმწოდებელი“

ი/მ გიორგი კაციტაძე
ქ.თბილისი, ქაიროს ქ. #4
ს/კ 01007008518
სს „პროკრედიტ ბანკი“
ბ/კ MIBGGE22
ა/ა GE03PC0093600100020605

Giorgi Katsitadze
Подписано цифровой подписью: Giorgi Katsitadze
Дата: 2021.01.18 15:06:24 +04'00'

_____

მუნიციპალიტეტის მერის მ.შ.
ჯუმბერ გობეჯიშვილი

_____

გიორგი კაციტაძე

ინვოისი № 1

საქონლის შეძენაზე (შესრულებული სამუშაოზე)

თარიღი: 11.012021 წ

გამყიდველი: ი|მ „გიორგი კაციტაძე"

ს|კ 01007008518

ს|ს" პროკრედიტ ბანკი"

ბ|კ M1BGGE22

ა|ა GE03PC0093600100020605

მის. ქ.თბილისი, კაიროს 4

ტელ. 595 16 16 88

მყიდველი: ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია

ს/კ 225393963

№	საქონლის დასახელება	ზომის ერთეულ.	რაოდენობა	ერთეულ. ფასი	ჯამური თანხა	შენიშვნა
1	ჩასაძირი ტუმბო WQ 15-30 3.0 კვტ-ი ძრავით, მონტაჟით	ცალი	1	3000	3000	

ასანაზღაურებელი თანხა სიტყვიერად: სამი ათასი ლარი

დირექტორი: გიორგი კაციტაძე

Giorgi Katsitadze

Подписано цифровой подписью: Giorgi Katsitadze
Дата: 2021.01.11

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080138593393121

№ 101

14 / იანვარი / 2021 წ.

ბოლნისის მუნიციპალიტეტისთვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2021 წლის 12 იანვარს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა ბოლნისის მუნიციპალიტეტის SMP210000037 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს სასმელი წყლის ტუმბოს შესყიდვას მონტაჟით (CPV - 42100000 - დანადგარები მექანიკური ენერგიის წარმოებისა და გამოყენებისთვის), ღირებულებით 3000 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, 2021 წლის 08 იანვარს, ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ნახიდურში მწყობრიდან გამოვიდა არსებული 3 კვტ სიმძლავრის სასმელი წყლის საქაჩი ტუმბო, რის შედეგადაც მოსახლეობას არ მიეწოდება სასმელი წყალი. 2021 წლის 11 იანვარს შესაბამისი კომპეტენტური პირების მიერ ტუმბოს ადგილზე შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ მწყობრიდან გამოსული საქონელი აღდგენას არ ექვემდებარება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმისთვის რომ ზიანი არ მიადგეს საზოგადოებრივ ინტერესებს, აუცილებელია შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდეს სასმელი წყლის ტუმბოს შესყიდვა მონტაჟით.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, იმდენად რამდენადაც, როგორც წარმოდგენილი მომართვიდან ირკვევა, 2021 წლის 08 იანვარს, ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ნახიდურში მწყობრიდან გამოვიდა არსებული 3 კვტ სიმძლავრის სასმელი წყლის საქაჩი ტუმბო, რის შედეგადაც მოსახლეობას არ მიეწოდება სასმელი წყალი. 2021 წლის 11 იანვარს შესაბამისი კომპეტენტური პირების მიერ ტუმბოს ადგილზე შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ

მწყობრიდან გამოსული საქონელი აღდგენას არ ექვემდებარება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმისთვის რომ ზიანი არ მიადგეს საზოგადოებრივ ინტერესებს, აუცილებელია შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდეს სასმელი წყლის ტუმბოს შესყიდვა მონტაჟით.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა. ასევე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უზრუნველყოს რელევანტური მიმწოდებლის შერჩევა და ამ შერჩევასთან დაკავშირებული პროცედურების კანონიერება. დამატებით აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1.დაკმაყოფილდეს ბოლნისის მუნიციპალიტეტის SMP210000037 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე